# საქართველოს იუსტიციის მინისტრის

## ბრძანება №464
## 2019 წლის 3 დეკემბერი

## ქ. თბილისი

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 13 ივლისის №118 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 13 ივლისის №118 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 13/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.027.016330) დამტკიცებულ ტიპურ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. აბაშის, ასპინძის, ახმეტის, ბაღდათის, გარდაბნის, დედოფლისწყაროს, ზესტაფონის, თერჯოლის, მცხეთის, საგარეჯოს, სამტრედიის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხელვაჩაურისა და ხობის სამოქალაქო რეესტრის სამსახურები ახორციელებენ ამ მუხლის პირველი პუნქტით (გარდა პირველი პუნქტის „$რ^1$“, „ღ.ბ“, „ღ.გ“, „ყ.ბ“, „ჭ“, „ხ“ და „ჰ“ ქვეპუნქტებისა) გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.“.

2. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „$კ^4$“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) „$კ^{10}$“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„$კ^{10}$) ონის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის – ონის, ამბროლაურის, ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტები;“;

გ) „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) აბაშის, ასპინძის, ახალგორის, ახალქალაქის, ახმეტის, ბაღდათის, ბორჯომის, გარდაბნის, გორის, დედოფლისწყაროს, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თელავის, თერჯოლის, კასპის, ლაგოდეხის, მარტვილის, მესტიის, მცხეთის, ნინოწმინდის, საგარეჯოს, სამტრედიის, სენაკის, ფოთის, ქარელის, ყაზბეგის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, წყალტუბოს, ხარაგაულის, ხაშურის, ხელვაჩაურის, ხობისა და ხონის სამოქალაქო რეესტრის სამსახურების – შესაბამისი მუნიციპალიტეტები.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 6 დეკემბრიდან.

**საქართველოს იუსტიციის მინისტრის**
**მოვალეობის შემსრულებელი** — **მიხეილ სარჯველაძე**